

140
1955/3



კონცენტრაციული
განაკვეთი

№ 10
მარტი
1955



წყარო, საიდანაც ლექებმა გაიტაცეს დავით გურამიშვილი. ლამისყანელი კოლ-
მეურნე ოლია ლვინიაშვილი პატარებს მოუთხრობს იმ მძიმე წარსულის შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა




ჭრანეგრი

№ 10

ოქტომბერი, 1955 წ.

გვლიფაზი XXIX'

სამართველოს აღმა ცენტრალური კომიტეტის
ზოგიერთი გული საგავალო უშანები



დავით გურამიშვილი

ნახატი უჩა ჭავარიძისა

* * *

ისმინე, სწავლის მძებნელო!
მოყევ დაგითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა,
თავს სინანული სჯობია
ბოლოუამ დანანებასა, —
ჭირს მყოფი, ლხინში შესული,
შვებად მიითვლი ვნებასა.
სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი.

სხვას ყველას მახე უგია,
თავისა გასაყოფელი.
თუ კაცა ცოდნა არა აქვს,
გატანჯავს წუთისოფელი.
ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის,
არც მალეით მოიპარების;
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

დავით გურამიშვილი



6904

დავით გურამიშვილი

დაბადებიდან 250 წლისთავის გამო

ორნახევარი საუკუნის წინათ, საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის მახლობლად, სოფელ საგურამიშვილი დაბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომლის თხზულებათა ქრებული, ცნობილი „დავითიანის“ სახელწოდებით, ქართული კულტურის სიმაყესა და, მუკენებას წარმოადგენს.

შავშეობის ადრინდელი წლები მომავალ პოეტს გაუტარებია გლეხის ოჯახში, სადაც ის ძიძს გასაზრდელად მიაბარეს.

საქართველო იმ ხანებში საშინელ განსაკლელში იყო. თურქი და ორანელი დამპყრობლები არა მარტო თვითონ არახევნენ მის სოფლებსა და ქალაქებს, არამედ აქეზებლენ დაღესტნელ ზეგებსა და ნაიბებს, რათა ისინიც თავს დასხმონდნენ ქართველებს, აეთხებინათ მათი სახლ-კარი, გაეწყვიტათ და ტყვედ წაეყვანათ ხალხი.

მდგომარეობა უფრო გამჭვავდა მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადაიხვეწა და ქართლში თურქები დამკიდრდნენ. მემატიანე ვაჟუშტი ბატონიშვილი, აგვიტერს რა იმ ღრიას ვითარებას, აღნიშნავს: „ქართლი ისე დააცარიელეს, რომ ტყვედ წასყვანი აღარავის იყო, თუ საღმე ვინმე გადარჩია, ისინიც ციხე-სიმაგრეებში იყვნენ შეფარებულნია“.

იმავე პერიოდს გურამიშვილი ასე ახასიათებს:

„მოისრა ხშირი ქვეყანა,
გახსრა გვრანად, ტრამლადა,
სულ წარიტაცეს თუ ვინმე
შაბაზი მოურჩათ წამლადა.“

ბუნებრივია, რომ ამ მწარე ხედს ვერც სოფელი საგურამო ასცდებოდა. 1722 წელს მოთარეშე დაღესტნელმა ფეოდალებმა დაიპყრეს საგურამოს შიდმოები და სოფელი მთლიანად აიკლეს და აისხრეს. ჩვიდმეტი წლის დავითი ამ ღრიადან ცხოვრობს სოფელ ლამისყანაში (ქსნის ხეობა).

1724 წელს ზედაველაზე (გორსა და ატენს შორის) გაიმართა (ქარე ბრძოლა ქართლში შემოსეული თურქების შესამუსრავად. დავით გურამიშვილი, როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. ზედაველას ბრძოლაში ქართველებმა პირველად მარჯვედ შეუტიეს მტერს, მაგრამ შემდეგ, ღალატის წყალობით, ქართველთა ჯარი დამატეცდა.

ამის შემდეგ საქართველოს მდგომარეობა უფრო გაუარესდა, თურქი ფაშები და დაღესტნელი ფეოდალები განუკითხავად თარეშობდნენ ქართლ-კახეთში და აოხრებდნენ ქვეყანას.

დავით გურამიშვილი სოფელ ლამისყანაში ცხოვრობდა, როგორც თვითონ ამზობს მოყვრის ოჯახში. რაც-და „მოყვარე“ საქართველოში ცოლის ნათესავს ქრისტება, უნდა ვიფაქროთ, რომ შეს ლამისყანაში, თავის სიმამრის ოჯახში უცხოვრია.

მაგრამ ვეღარც ლამისყანაში გაქცევამ უშველად ფიცით და ზაფხულში, ყანების მეოს დროს ის ტყვედ წაიყვანეს ლევებმა.

ამ ამბავს პოეტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: დილით მომეულებზე აღრე წასულა ის ყანაში. მომეულები შორიდან ყოფილან მოსასვლელი და ჯერ თურმე არსადა ჩანდნენ; მას აუსნია ასრალი, მუხის ძრას მოუყვდება და ხშირ ტყეში ჩასულა წყაროზე პირის დასახანად.

სწორედ ამ ტყეში იყვნენ ჩასაფრებული ხუნდახელები, რომელთაც იგი დაატყვევეს, ხელები შეუკრეს და წაიყვანეს.

ამ დღიდან იწყება მისი დაუსრულებელი ხეტიალი. გზა, რომლითაც იგი ქართლიდან წაიყვანეს, ხან მიყრუებულ ურან ტყებს მისდევდა, ხან ციკამიანის ჩამონგრეულ კლდეების თავზე გადადიოდა. ძალმისდილი და სასოწარკვეთილი მიჰყვებოდა პოეტი იმ შილიკებს უცხო ქვეყნისაკენ. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ის სოფელ უნსულეულში მიიყვანეს.

პოეტის გაზმოცემის მიხედვით მას საშინელ პირებებში უცხოვრია. ახლა ის ჩვეულებრივი მონაიყო, რომლის არც საჭმელზე და არც სასმელზე არავინ იზრუნებდა. მას თურქების ბაზარზე გაყიდვას უბირებდნენ, მაგრამ პოეტმა მოახერხა გაქცევა. გზაში ის ისევ დაიჭირეს, სცემეს და ჩნელ ორმში ჩაგდეს.

ამ ტანჯვამ გურამიშვილი მაინც ვერ გასტეხა; ის არ მინებდა მწარე შედს და მტკიცებ გადასწყვიტა მეორედ გაქცეულიყო. ზაფხულის დამლევს მან როგორც იყო მოატყუა თავისი დარაჯები და ხელახლა გაიჭირა.

პოეტმა გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. შუა დაღესტანში, ხრიო მთებში, ღამით საშინელი ავდარი წამოეწია, ქარიშხალსა და კექა-ქუხილს სეტყვა მოჰყავა.

ამ გამაყრუებელ კექა-ქუხილს, უზარმაზარ ხანგრძლის რომელიც ცაზე ინთება და ყოველ წუთში მიწაზე გადმოშვებს ლამობს, პოეტის გული უსაზღვრო შფოთვით და განგაშით აუვსია. მარტოდ მარტო დარჩენილს ბუნების პირქუში და საზარელი მრისხანების შუთებში სეტყვის შეშით თავი სარტყელით შეუცვევია და განაბულა. უცებ ელვის შუქზე გამოქვაბული შეუნიშნავს და თავი შეუფარება.

ცა რომ გადაიწმინდა, ის გამოქვაბულიდან გამვიდა.

დაღესტანის უდაბურ და უკაცრ მთებში ხეტიალმა ის საშინლად დაჭქანცა, ტანსაცმელი შემოეხა. მდევრის შიშით იძულებული იყო სამა დღე შამბში წოლილიყო; გაქცევისას როგორლაც ნაჩმის ახალი პერანგი გაჰყოლია, მოხლევევოლ კი დედოშობილა ყოფილა; მშერ-მწყურვალი ხან ყვავის-

ფრჩხილას სჭამდა, ხანაც მუკე კოშახურითა და ტყემლით იცემებოდნა...

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ ვისმეს ასე ცხარედ უტირია შიძშილზე, როგორც გურამიშვალი ტიროდა:

„მური არა მაქვს მიბოძე,
მშიან მაქამეო,
შენი გაჩენილი ვარ და
უნ დამარჩინეო.
დღეს სალილად არა მაქვს-რა
გამომიჩინეო,
დავიკრაცე ყოვისფრჩხილა
და ისი ვეჭამეო.“

ასე იარა მან თერთმეტი დღე, ხოლო მეთორმეტე დღეს უჭალო მდიხარის პირს მიადგა, შიშითა და იმედით დადგა ფეხი ჩრდილო კავკასიის მიწაზე. პოეტი მიხვდა, რომ უკვე გადარჩენილი იყო, უკვე სამშვილობოს იყო გასული. ის გამოვიდა ბაღებიდან და მიუახლოვდა ადამიანებს, რომლებიც კალოსა ლერწავდნენ.

— დაი ხოება ლაზარ, — რომ გაიგონა დავითმა, მიხვდა რუსებში იყო. სიხარულით მუხლებმა კანკალი დაუწყეს, რომელიდაც ყაზახს შეებრალა და როგორც თავის შვილს ისე მოუარა მას. ამ რუსმა გადაჭიფუნა დავითი და ცხარე ცრემლით იტირა. სასწრავოდ თარჯიმანიც უშოვნეს, ერთი გადაკარგული ფხოვლელი, სახელად იანვარა.


ტყვეყოფილი ჯერ ეკლესიაში წაიყვანეს, მერე სამდონოში მიიხმეს და თავგადასავალი აამზობინეს.

თერგიდან ის სულაკში წავიდა, იქიდან ასტრახანში. ამ ადგილებში დავითი ალბად მრავალ ქართველს შეხვდა და მათი შემწებით გაიგებდა, თუ სად იმყოფებოდა იმუამად ქართლის მეფე ვახტანგ მეექვე და რა ჩედი ეწიათ მასთან ერთად წასულ ქართველებს.

როგორც კი გაიგო დავითმა, რომ ვახტანგ მეფე მოსკოვს იმყოფებოდა, თვითონაც დაუყოვნებლივ იქით გაეშურა.

თავის ამ მოგზაურობას მოსკოვისაცენ პოეტი ძალზე მოქლედ, სულ ორიოდე სიტყვით ავგინიშვილს.

პოეტმა და გვილევარმა გიორგი ლეონიძემ ზუსტად მიუთითა მოსკოვის ყველა ადგილი, სადაც იმ დროს ქართველები ცხოვრობდნენ. ეს ადგილებია გოლიცინისეული სასახლე ოხოტი რაღმი, (ამჟამად ეს შენობა დაცულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეზოში, სასტუმრო „მოსკოვის“ პირდაპირ). ამას გარდა ქართველები ცხოვრობდნენ პრესნაზე, სწორედ იმ მონაკვეთზე, რომელსაც დღესაც ეწოდება „გრუზინი“ და სადაც „ბოლშია გრუზინსკაიას“ და „მალაია გრუზინსკაიას“ ქუჩები დღემდე არს შემონახული მოედნით.



სოფელი ლამისყანა

გასაგებია, რომ დავითმა ჩქარა მოძებნა ვახტანგის სასახლე. მეფემ ის კარგად მიღოთ და თავისი არსენალის უფროსად დანიშნა.

ცეკვის თქმით ვახტანგის ამალაში ხშირად იმართებოდა მეჯლისები, იყო ლექსთა თქმა და გალობა, თამაში და შექცევა. ერთი ასეთი დროს გატარების უამს, ტრადიციულ ნაღმებზე, გურამიშვილიც გამოიყვანათ და მელექსეობაში ჯავახი-შვილისათვის გაუჯიბდებით. რომელი ჯავახი-შვილია ეს, არ ვიცით. გურამიშვილს ადვილად ლურმარტებია თავს მოწინააღმდეგე. ჩემი შარები მას ნარცეცხლისაფით ხვდებოდაო—ამბობს პოეტი.

გურამიშვილი მაშინ ოცდახუთი წლის შაბუკი იყო. როგორც ჩანს, ამ დროიდანვე უკვე გატაცებით შესდგომია პოეტურ მოღვაწეობას.

მაგრამ ქართველები აქ პოეტურ პაექტობათა მოსაწყობად როდი იყვნენ ჩამოსულნი. მათი მხიარულებაც მოჩვენებითი და წუთიერი იყო.

მოწყენილი და დანაღვლანებული იყო თვითონ მეფე ვახტანგი. სწორედ ამ დროს დაუწერა მას თავისი „კარგინი“, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მოცალეობასა შინამყოფას ჭმუნვა-ნაღვლის გასქარვებლად იწერების საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ დიდისა ქალაქსა მოსკოვსა შინა, წელსა 1730“.

ვახტანგი იმავე დროს გულზე ხელდარეფილი არ იჯდა: ქართლიდან მას მრავალი წერილი მისდომდა. ამ წერილებში ქართველები ეველებოდნენ მეფეს დასტუნებულიყო, შესტრომლებოდა მტერს, რომელიც უმოწყალოდ იყლებდა ქვეყანას. ვახტანგმაც პეტერბურგში, რუსეთის ტახტის მფლობელს ანა იოანეს ასულს დახმარება გამოსთხოვა და სალაშემჩრდებული მზადებას შეუდგა.

მალე მოელი თავისი ამალით ვახტანგი მზად იყო სამხრეთისაკენ წამოსასვლელად. ერთი თვის განმავლობაში ექვსი ნავი ააგებინეს, ჩაუშვეს კოლაში, და კასპიის სანაპიროებისაკენ გამოემართენ.



გურამიშვილი თან გამოჲყვა ვახტანგს, როგორც
მეომარი და შეჯარისაცავის უფროსი.

მაგრამ ამ მოგზაურობას შედეგი არ მოჲყოლია;
ქართველები ხმელეთზე რომ გადმოვიდნენ, აქ სა-
ბედისწერო ამბავი დაუხვდათ: მათ გაიგეს, რომ
თურქების ნაცვლად ქართლში ახლა ირანელები
შეკრილიყვნენ და ეს უკანასკნელი არა მარტო
საქართველოს ტერიტორიას ფლობდნენ, არამედ
ჩრდილო-კავკასიისაც კი მიიწვდნენ, სადაც
უკვე რუსეთის გარნიზონები იღვნენ.

რუსეთის ჯარებმა დარუბანდი დასცალეს, სუ-
ლაკის ციხე დანგრიეს და ყიზლარისაც დაი-
ხიეს.

ქართლის ხსნის იმედი ისევ გაპერა და მომავალს
ასევ ნისლი გადაეფარა. სასოწარკვეთილი ვახტან-
გი მოსკოვში აღია დაბრუნებულა. მან ყველა-
ჯერზე ხელი ჩაიქნა, ყველაფრის იმედი გადაი-
წყვიტა, ამიერიდან ის ასტრახანში დასახლდა და
გადახვეწილი ქართველები თავის შვილს ბაქარს
ჩამარა.

სამშობლოზე დარღმა და ნალველმა ჩქარა მოუს-
ტაფა დევე ვახტანგს; 1737 წელს ის გარდაი-
ცვალა. მწარედ გამოიტირა მისი სიკვდილი გურა-
მიშვილა:

„ვა რა ბოძი წაიქცა
სახლკარი თავს დაგვექცაო,
ლეინი, შვება და სიამე
სულ ჭირად გადაგვექცაო.
ჩევნ ყმანი დაგრჩიო, პატრონი
წავიდ, შორს გავვექცაო,
გაფრთხილდი შეც არ დავვექცე
დვთის მადლა, მაგრა დექ, ცა!“

ვახტანგის სიკვდილმა თავზარი დასცა გადახვე-
წილ ქართველებს. ამიერიდან ისინი პოლიტიკური
ექტრემისტი კი აღარ იყვნენ, არამედ უსახლყარო,
მიუსაფარი ხალხი, რომელთაც ის-ლა დარჩენ-
დათ, რომ ლუქმა-პურისავის ებრძოლნათ. მათ
გადაწყვიტეს არ დაშირებოდნენ ერთმანეთს:

„დაფლეთ თუ სადე წვიდეთ,
ერთად ვეძებოთ პურია.“

ამ პურის ძებნამ ისინი რუსეთის არმიის მეომრე-
ბად აქცია. ქართველებმა ჰუსართა პოლკი შეად-
გიეს.

ჰუსართა ქართული პოლკის მეომრებს, კერძოდ
დავთ გურამიშვილსაც სამცველრო მამულები უკ-
რაინაში გამოუყვეს; მირგორიდიდან ოცი კილო-
მეტრის მანძილზე, მდინარე ხოროლის მიდამოებ-
ში დასახლდა პოეტი და შეუძგა თავისი მამულის.
მოწყობას, მაგრამ მას, ერთხელ მიწიდან აწ-
ყვეტილს, მშვიდობიანი ცხოვრება აღარ ეღირისა.
გურამიშვილი თავისი გადახვეწილ თანამემამუ-
ლებთან ერთად მონაწილე გახდა იმ ომებისა,
რომლებითაც ალსაცვე იყო მეთვრამეტე საუკუნე.

დავითი ჰუსართა ქართულ პოლკში პირველ ხა-
ნებში რიგითი მეომრაი ჩაირიცხა. 1739 წელს ის
ბესარიბაშია და თურქების წინაომდევ იმარტის.
იმ წელს რუსეთის არმამ ხოტინის ციხე აიღო.
ომის მონაწილე ქართველების მხერგამ და ვაჟ-
კაცობამ რუსეთის არმიის სარდალი მინიხი განაც-

უიფრა და აღტაცებაში მოიყვანა. დიდათ გარეული
ხია თავი თვითონ დავითისაც.

1741-42 წლებში პოეტი ოსტრეის ლაშქრობაში
მონაწილეობს, ფრიდრიხისპამის და ჰელსინფინარის
(ახლანდელი ჰელსინკი) მიღამოებში მტრდვის.

1747 წლის 5 მარტს ჰუსართა ქართული პოლკის
ობეროფიცრებმა უმაღლეს სარდლობს წარუდგი-
ნეს დახსასათება დავითისა, რათა მისოვნის პრაპორ-
შჩიების ჩინი გამოეთხოვათ. 1748 წელს დავით გუ-
რამიშვილი უკვე პრაპორშჩიებია. ამ თანამდებობა-
ზე იმყოფება ის 1755 წლამდე; ამიერიდან კი ის
კვლავ ერთი საფეხურით აწევეს სამხედრო ერარ-
ქის კიბეზე—პოლბორუჩიერ ხდება.

პოეტი მუდამ უმწიველოდ იხდიდა ჯერ ჯარის-
კაცისა და შემდეგ ოფიცრის სამხედრო მოვალეო-
ბას. ის ყოფილა მმაცი, მრმოლაში თავგამწირული
კაცი, რომელმაც არ იცოდა რა იყო ღალატი სამ-
ხედრო ფრცის წინაშე; ამ ერთგულებამ მხედრის
გალისაღმი გამოხატულება ჰპოვა დავითის პოე-
ზიშიც.

1757 წელს დავით გურამიშვილი ისევ ბრძოლის
ველზეა. ბეგმა ის ახლა ცნობიშვილი შეიძლებანი
ომის სანაძარში გედააგდო. 1758 წელს, ქალაქ კოს-
ტინინთან ბრძოლის დროს გურამიშვილი პრუსი-
ლებმა ტყვედ წაიყვანეს და მაგდებურგის ცხეში
დამწიფვდიეს. დედოფალი ელისაბედის სახელზე
გაგზავნილი „ჩელობიტნიაში“ პოეტი აღნიშნავს
რომ, ის მონაწილეობდა ცორნიდორფის ბრძოლაში;
შემდეგ დავითი წერს: „იმ ზატალის დამთავრების
დროს, კუსტრინთან, მიღდევდი რა მოწინააღმდე-
გეს, უცცრად ცხენიანად ჭაობში ჩავეფალ და
მტერმა ტყვიდ წამოყანა, სადაც ვიმყოფებოდი იმ
დღიდან 1759 წლის 6 დეკემბრამდეო“.

1759 წლის დეკემბერში ტყვეობადან განთავი-
სულლებული პოეტი ერმანიდან პირდაპირ პე-
ტერბულება გამზადებულა, რათა სამხედრო სამ-
ხეურისაღმა განთავისუფლებულყო.

ის უკვე ავადმყოფი იყო და ახლა ოფიცრის მძა-
მე, მოვალეობის შესრულება აღარ შეძლო. 1760
წელს პეტერბურგის სამხედრო კოლეგის წარსულ
ოამსახურებათა გამო მისოვნის პორუჩიების ჩინი
შიღნისებია და ქართულ ჰუსართა პოლკის სიგზი-
ლან ამიურიკებავ.

პეტერბურგილი დავითი უკრაინაში თავის მა-
მულში დაბრუნდა. მისი ლექსი ამაზე პირდაპირ
მოვითხოვთხობს: „მუნით ვისტენ, შინ წამოველ, ქერი
ცხან და ყანა, ფატვი“.

უკრაინაში დაბრუნდების შემდეგ გურამიშვილმა
მუდმივ საცხოვრებელ აღილად მირგორიდი აირ-
ჩია. ეს წლებში შემოქმედებით მუშაობის მხრივ
მისოვნის ყველაზე უფრო ნაყიფიერი იყო.

მოხუცებულობის წლებში პოეტი წერს ახალ
ლექსებს და იმავე დროს აგროგებს ძველებსაც,
სხვადასხვა დროს შექმნილ ნაწარმოებებს:

„ამ ლექსთ თავი მოვყარე,
სადაც მეოქვა თითო იბლად“.

მაშისათამე, „დავითიანშია“ თავმოყრილია. პოე-
ტის სიბატუკისდროიდელი ლექსებიც. ზუსტად ის
შეიძლება ითქვას, რომ 1774 წელს მას დაუწერია

„კაცისა საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთ-მანეთის ძეირის ხელება“. ამავე წელსაა დაწერილი „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“. ღრმა შოხუცებულობის დროს არის დაწერილი პოემა „მხიარული გაზაფხული“.

უკანასკნელ წლებში პოეტი დად სიღატაკეში ჩაეცრდნილა. მას ოცი თუმანიც ვეღარ უშოვხია, რომ თავის მიერ მოფიქრებული წისქვილის პროექტი განეხორციელებინა.

1787 წელს კრებენჩუგში ჩავიდა ქართველთა მეფისწული მირიანი. იმ ხანებში დავითმა ისახულა მირიან ზატონიშვილი და გადასცა მსა თავისი „დავითიანი“, ლექსებისა და პოემების კრებული. შირიან ზატონიშვილმა ფაქიზად შეინახა და ბეუნარჩუნა შთამომავლობას დავითის ძვირფასი ავტოგრაფული ხელანდის, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში.

დავით გურამიშვილი გარდაცვალა ქალაქ მირგორდში, 1792 წლის 21 ივნისს (ძველი სტილით).

დავით გურამიშვილი ეკუთვნის ისეთი პოეტების რიცხვს, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით ეპოქებსა ჰქმნიან ლოტერატურის ისტორიაში. გურამიშვილი პოეტური სიმბოლოა ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობისა; თავისი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით მან ქართული პოეზია აზიარა რუსეთისა და უკრაინის კულტურის წყაროებს.

გამოჩენილი უკრაინელი პოეტი პავლო ტოჩინა წერდა გურამიშვილის შესახებ:

„უკრაინაში ცხოვრებისას დავით გურამიშვილი დაეუფლა უკრაინულ ენას, მან შეისწავლა ჩვენი ხალხური შემოქმედება და თვითონ სწერდა თავის ხალხურ სიმღერებს უკრაინული სიმღერების, რუსული და პოლონური სიმღერების ჰანგებზე.“

უკრაინაში, მირგორდში ცხოვრებისას დავით გურამიშვილი თვალყურს აღენებდა იმას, თუ რას განიცდიდა მისი მშობლიური საქართველო, რომლის ერთი ნაწილი ირანის შაპის უღელტევები იყო, ხოლო მეორე — თურქების უღელტევები, მას სულითა და გულით სურდა რომ საქართველო რუსეთს შეერთებოდა“.

დავით გურამიშვილის მთავარი თემა მე-18 საუკუნის საქართველო იყო, ამ ეპოქის პოლიტიკური და ნაციონალური კატასტროფები მან უმატერესი რეალისტური საღებავებით დახატა. ამ მხრივ ღრმა ინტერესს იწვევს მისი პოემა „ქართლის ჭირი“, რომელშიაც ასახულია იმდროინი დელი საქართველოს ვითარება; ამ პერიოდში ვკითხულობთ:

ქართლის ჭირისა ვერვინ მოსთვლის


თუ არ ბრძნი ენაშვერი,

იჯელი დვარძლად გადაიცა,

ზედ მობრუნდა ცეცხლის კაფრი.

თავის ლექსებში პოეტი ქადაგებს სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის უკვდავ იდეებს.

გურამიშვილმა ფართოდ გაუღო კარი პოეზიაში ხალხურ მეტყველებას; მას თამამად შეაქვს ლექსები ცნებები ქართველი გლეხეაცის ყოფისა და აამეურნეო საქმიანობის სფეროდან. აქ ის ხშირად ძალზე თამამია და ორიგინალური, როგორც ნო-



წისქვილის მკეტი, შესრულებული დავით გურამიშვილის ჩახაზის მიხედვით. (საიუბილეო გამოფენის მასალებიდან).

ვარორსა და დიდოსტატს შეჰქვერის. მთელი მისი შემოქმედება აღმოცენებულია ხალხის წიაღში, ღონიერი ფესვებით არას დაკაგმირებული ეროვნულ ხადაგთახ, დაფუძნებულია ხალხის აწყოსა და წარსულზე.

გურამიშვილის შემოქმედების ნამდვილი დაფასება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს ღრმის. მისი დაბადების 250 წლისთავს ერთნაირი გატაცებითა და სიხარულით აღნიშნავენ როგორც ქართველები, ისე რუსები და უკრაინელები; ეს არის ზემო ჩვენი კულტურისა.

გურამიშვილის ნაწილობრივი ხალხთა მრავალ ენაზე. ამ თარგმანთა შორის განსაკუთრებული უურადღების ღრმისა ნ. ზაბოლოცკის მიერ შესრულებული თარგმანი „დავითიანისა“ რუსულ ენაზე და მიკოლა ბაჟანის თარგმანი უკრაინულ ენაზე.

დავით გურამიშვილმა სამარადისოდ უკვდავჲყო თავისი სახელი, როგორც ხალხთა მებობრობის, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის, ჰუმანიზმის დაადი იღების ბრწყინვალე გამომხატველმა. მის ლექსებსა და პოემებში სრულყოფილი ასახვა ჰპოვა ქართველი ხალხის სულიერმა სიღრიადემ, მისი მგზნებარე და დაუცხრომელმა სიყვარულმა სამშობლოსადმი.

გიორგი ნაზროვალი



ქართველი და უკრაინელი მწერლები სტუმრად სოფელ ზუბოვკაში.

პატარა ლიდა და რუსთაველი

ალუბლის ბაღში, ატმების ბაღში,
მწვანე ტოტებში მზე სხივებს ცრიდა.
ქართველ სტუმრებთან მიიხმეს ბავშვი
და მას სახელად ეძახდნენ ლიდას.

თვალებში ენთო ჭიაკოკონა —
სამშობლოს ცეცხლის და მზის ოდენი.
— სადაური ხარ? — ჰქითხეს გოგონას.
— აქაური ვარ, მირგოროდელი.

ქართული სიტყვა რომ გაიგონა,
მან სიხარულის ცრემლი დაღვარა.
— რა გვარისა ხარ, ტურფა გოგონავ?
— ოდიშელიძე გახლავართ გვარად...

ჩემი თხოვნაა უთუოდ გვნახოთ,
მინდა გაჩვენოთ ძველი აკვანი,
იმ ცაცხვებს იქით, მდინარის ახლოს,
ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი.

ზემის შემდეგ რომ დაბრუნდებით,
ჩვენი კორდისკენ მაინც გაივლით,
როგორც თქვენ,
ისე ჩვენც სტუმრებს ვხვდებით
გულით, ვარდებით და პურ-მარილით.

დაასაჩუქრეს მოსწავლე წიგნით,
უმზერდა ასოს მისთვის საოცარს,
გაღიმებულად ფურცლავდა იგი
შოთას დიდებულ „ვეფხის ტყაოსანს“.

იდგა და ფეხი არ მოუცვლია,
ტკბილმა ოცნებამ შორს გაიყოლა.
სურათს დახედა: — მე ვიცი, ძია,
ეს ჩვენს ენაზე თარგმნა მიკოლამ.

თუმც გათამამდა, მაინც მღელვარებს,
ახლა სუყველა მასთან მიჯგუფდა.
აქეთ უამბო ქართველ მკვლევარებს
გმირული ბრძოლა დიად მიჯნურთა.

ჟყვებოდა ამბებს ზღაპრულს და მქუხარს,
მას უგემნია წიგნის ნექტარი.
შალვა დადიანს ლიმილით უთხრა:
— ნეტავ სახელად მერქვას ნესტანი!

როგორც უვავილი მზით დანაფერი,
მის ხელში წიგნი ისე გაშლილა...
პატარა ლიდა და რუსთაველი
გურამიშვილმა დააკავშირა.

გიორგი სამხარაძე



ლაზ მრელაშვილი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

გ ა რ ი გ ე პ ა *

გათენებისას, სანამ მწყემსები აიშლებოდნენ, თედო ფეხზე წამოდგა და ნაბადი ბაკის კარებთან ისე ოსტატურად დააწვინა, რომ ყველას მძინარე კაცზე წახურული ჰქონებოდა. ქოხიდან ფრთხილად გამოიტანა წალდი, ქამარში გაიყარა, აღმოსავლეთით ბილიქს გაუყვა და წყაროს პირთან შედგა.

საიდან დავიწყო? იქნება ნიაურიდან სჯობდეს, ან სალებლიდან? თუ ჭილობანში ჩავიდე?.. მოდი, რძის პუნქტიდან დავიწყებ, მერე გავყვები და ბაკანამდე გავალ. აგრე სჯობდა!..

როგორც იყო გადაწყვიტა ბიჭმა და რძის ჩასაბარებელ პუნქტისაკენ გასწია.

აქ არავის ენახა მისი ფერდჭრელი ხბო.

უკან გამობრუნდა და ახლა აბიდასტურისაკენ გაუყვა.

ტყეში მზის სხივი ვერ ატანდა და წინა ღამის სისველე ისევ შერჩენოდა ძირხვენასა და გვიმრას. ფეხები ერთიანად დაუსველა ცვარმა. მიდიოდა უხმოდ და მოწყენილი.

შარშანდელ ფოთლებზე წაქცეულიყო ბებერი წიფელი და ტყიდან გასასვლელს ხერგავდა. ცალ შხარეს უაშრავი სოკო ესხა და ზედ ყომრალი ფერი დაპრავდა. სხვა დროს ასეთ სოკოს ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ ახლა ბიჭს ზედაც არ შეუხედნია, ისე ჩაუარა.

ბოლოს, როგორც იყო, ბილიქზე გავიდა და კარგა ხანს მისდევდა დავაკებამდე.

ბილიქს უაშრავი ნაფეხური აჩნდა: ერთმანეთში აჭინჭყლულიყო ძროხისა და ხარის, კამეჩისა და ცხენის ნაფეხური, მაგრამ ხბოსი არსდ ჩანდა.

ბოლოს პატარა ზომის ნაჩლიქარს წააწყდა და

გახარებული მუხლებზე დაეცა. დიდხანს აკვირდებოდა. ნაჩლიქარი ტყიდან გადიოდა და ველზე იკარგებოდა.

ბიჭმა იციქრა, ნამდვილად „ჯონქას“ ქვალს წავაწყდიო, და სიხარულით გავარდა ტყიდან; მაგრამ მინდორზე სულიერი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ძველი საყდრის ნანგრევი იდგა მინდვრის ბოლოში და ბებერი მუხა წარაფებს იქით.

სიჩბილით ივიდა საყდრამდე, მოჩხრიყა წარაფები და საყდრის ნანგრევშიაც შეიხედა, მაგრამ ყველგან სიცარიელე და სიჩუმე სუფევდა.

აბიდასტურში ჩასულმა იქაურობა საგულისგულოდ დაათვალიერა და ზოლოს ნანგრევებს მიადგა.

ოდესლაც აქ არდოტის ხეობიდან ჩამოსახლებული ხევსურები ცხოვრობდნენ, ახლა კი სახლების ნანგრევებია და გაფანტულ სიპებზე ანწლსა და ჭინჭარს გადაუვლია.

თელომ ძირისძირობაში გადაქექა აბრეშუმათი ერთმანეთზე დახლართული ანწლები, გოგშო და ჭინჭარი.

ხბო არსად ჩანდა.

იქნება რუისპირის ნახირს შეერია და გუშინ ამიტომ ვერ ნახეს მწყემსებმა? დღეს ეცოდინებათ უეჭველად!

ნიაურის ვრცელ ველზე ხარბად სძოვდა ნახირი ბიბინა ბალას. არც რუისპირელებს ენახათ სხვისი ხბო. გულდაწყვეტილმა ბიჭმა ჭილობანს გადმოუარა და ტყეში შევიდა.

— მუუუ, ჯონქავ, მუუ!...

ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

ტყიდან სამარხილე გზაზე გავიდა და დიდხანს მისდია. გზაზე მორი გაეთრივნათ და ნაფეხურები სულ გადაეშალნა. შაბბიანისკენ გამობრუნდა ბიჭს და ბუერისა და დიყს შეერია.

* გამოქვეყნება. იხ. „პიონერი“ № 9.



— თფვრიიშ, ჯონქავ, თფვრიიშ!..

ქალამნებში წყალი ჩაუდგა და ტანსაცმელი ნამით გაელუმა. მწყემსს ერთიანად აძაგძაგებდა და მუცელი გვრემავდა. როგორც იყო გალია შამბიანი და გავიდა ნაირას, — წინ ლელიანი გაშლილიყო და ნიავზე ირწეოდა. შრიალებდა ისლი და ლელი, ქანაობდნენ ბუერის ყავისფერი თავები, რაღაცას ჩურჩულებდნენ წვრილი და ხელი ფოთლები.

ბიჭმა კარგა ხანს უცქირა და ბოლოს შებედა შიგ.

შრიალითა და შარიშურით იხრებოდა აქეთიქით ლელი და გზის აძლევდა მწყემსს...

— თფვრიშოო, ჯონქავ, თფვრიიშო!..

არსაიდან არვინ არ გამოხმაურებია.

ბიჭი დაიქანცა, დაიღალა და სხე ხმელი და წყრელი ფოთლებისაგან დაეკაშრა. ლელი თანდათან სქელდებოდა და უკვე რაღაც მუქარით სისინებდა.

— მუუუ, ჯონქავ, მუუ!..

ერთგან ფეხი ჭყანტში ჩაუვარდა და ძლივს ამოაძრო. ბიჭი შედგა და მიხვდა, რომ აქედან მყრალ-ტბა იწყებოდა. მაშინ, რაღვანაც წინ წასვლა ალარ შეიძლებოდა, უკან გამობრუნდა თა ძლივს დააღწია თავი ლელიანს.

იქნება ცოცხალი არც არი და ტყუილად ვეძებზ ვაი, შე საბრალო ჯონქავ! აგრე კარგი მაინც არ ყოფილიყო! რამ გადამაყრუა, რომ ხარიხების გაყრა დამავიწყდა ბაჟის კარებში? იმ ცისა და მიწის დაქცევში მე შემეშინდა და ხბორებს არ დაუსკდებოდათ გული? არა, რამ დამავიწყა?!



თედომ მისევნ გამოქანებული ნადირის ვება დრუნჩის მოპერა
თვალი ხეებს შეა.

მუუ! ჯონქავ, მუუ!... თან თითქოს მახსოტებული ხარიხები გაუყარე და ისე დაწერე ქოხუა-უცულებელი ეშმაქმა იცის რა არ ხამეჭედება ახლა თავში!..

ჭყანტობი გაირა და წიფლის ხესთან შედგა.

გამოხჩილ შავ ფესვებს იქთ მწვანედ ლატლაპებდა ჭყალი. შიგადაშიგ კოლბებები ანოზრდილიყო კუნძულებივით და ზედ მწვანე გომბეშოები სთვლებდნენ. ღუმფარას ფოთლებზე ბაყაყები შემომსხდარიყენებ და გულის გამაჭრილებლად ვახვახებდნენ. დაპეროლენ ბოლოსავარცხელა სალამანდრები და კულბრტყელი ტრიტონები.

ბიჭმა ზიზოით გადააფურთხა — გარშემო ლპობისა და ხრწნის სუნი იდგა.

ტბას ზურგი შეაქცია და ისევ ტყეში შევიდა მწყემსი. კარგა ხანს იარა და, როცა სატალიდან ბარშა მიმავალ გზის წაადგა, ხე ისაფრა და საღამდისაც თვალი მიუწვდა დაათვალიერა.

არც მთაში მიღიოდა ვინმე და არც მთიდან მოღიოდა. მაშინ თამამად გადასჭრა გზა და ქაჯიან-ნევში ჩავიდა. რის ვაივაგლახით აბობლდა ფლატეზე და გაუყვა ტყეს.

უცებ ბილიქზე კვალს გადაეყარა და სიხარულისაგან შეპყვირა.

— იმისია, იმისი! ნამდვილად იმისი!

მუხლებზე დაცემული ისევ წამოხტა და წაკუზული სიჩბილით გაყვევა ბილიქს, რომელსაც რამდენიმე წყვილი ხაფეხური ეტყობოდა. ბილიქმა ბატარა ყალთაღზე გაიყვანა და აქ ისევ დაიკარგა და გვალი.

ბიჭი ითხივე მხარეს ცცა და ყალთაღის ბოლოზე ქაჯიან-ნევისკენ შიმავალ ბილიქზე ისევ აღმოაჩინა. აღმოაჩინა და მაშინვე გული გადაუტრიალდა. ხბოსი თუ რაღაც მისი მსგავსის ნავალს აქა-იქ ფარავდა რომელიდაც სხვა ცოლველის ნაფეხურები. მწყემსი ჩაცულდა და გულმოდგინდა დააკვირდა.

ეს რას ნიშნავს? რა უნდა იყოს? ნუთუ ეს მისი კვალია? ნამდვილად, ნამდვილად იმისია... ეს კი — დედავ, რამოდენა თათები ჰქონია! ნამდვილად იმ წყეულისაა. პირი, თუ დაეწია, რას უზამდა!..

შიჭის კინაღამ გული ამოუვარდა სიჩბილით, მაგრამ პატარა გუბესთან მაინც შედგა: ბილიქს ახლა სხვა კვალიც ემჩნევიდა, ისაც მგლის ნაფეხური იყო, წინანდელზე ფილი და კაშინელი. საბრალოს ფერდი-ფერდზე ჰქონდა გაურული შიმშილისაგან და მაინც განაგრძო გზა, ბილიქი შორს მისდევდა ხევის პირს და კარგად სმოდა წყლა ხმაური.

უცებ მწყემსა შედგა და ყური მიუღდო: გარკვევით მოესმა ფოთლების ფაჩუნი და საეჭვო ფე-

ხის ხმა. შიმელის მოეფარა და წალდი გაიძრო. გაიძრო, მაგრამ აცახცახებულს ხელშივე შეაცივდა, როდესაც მისკენ გამოქანებული ნაღირის ვეება დრუნქის მოჰკრა თვალი ხეებს შეა.

განწირულის კივილი აღმოხდა და ხმელ ფოთლებზე დაეცა...

* * *

დილას, ბინდბუნდისას, რაკი მამის ხასიათი იყოდა, უშანგი ადგა, გადაიკიდა ბიძის ნასახსოვრები საცელე ჩანთა და სოფლისაკენ დაეშვა. გზაზე სიგრილემ აიტანა, პალტოს საყელო აიწია და ხელები ჯიბებში დამალა.

— რაცა მჭირს ეს სულ იმ ქეცინისაგანა მჭირს! რა ეშმაქმა ამოახეტა აქ წელსლა? ბიძა მაგას არა ჰყავს აქა და მამა. დადის, დაძრშის და ყველგან თავის დინგსა ჰყოფს... ხომ გაუშემჲყე გუშინწინ კარგად! — ერთ კვირას მაინც დაემჩნევა. არა, მამახემი რალამ გადარია? ჩემ თავს ის ირჩია და ახლა მე სოფელში მიმაყაყალებს... მთელ დღეს პური არ უჭიმია! სულიც გავარდნია! ვინ დაუშალა ნუ სჭამო? ცეცხლი ჭამის და ლველფი იმან. ეგ ნაცარქექია ეგა, უშნო და უენო! ყოვლად უმაქნისი! მარტო წიგნებს ჩაჰკირეტი და მეტი არაფერი. გულორიძი და შურიანია, არც ამხანაგის გატანა იცის და არც მეგობრობა. ნეტავ ჩენება ზოგიერთმა ბიჭმა რა ნახა მაგ დონდლოში რომ მიეტმასნა და მიმტკიცებენ — ზორბა ბიჭიაო? ფუი, მაგისი! მამახემის ფერმაში მეხბორედ წამომისუბდა! — აქ უშანგმა ბარაქიანად გააძურჭყა და ცხვირი ხმაურით მოიხოცა.

ტყეში ჯერ ნისლი არ შებერტყილიყო და ბური ჰელურავდა იქაურობას;

— ახლა ეს ამიძღვა კიდევა. შენდა მაკლდი მაშ!.. ფუი, დაგწყევლის ეშმაქმა! არაფერი არა ჩანს. სანამ აიწევს ეს ოხერი, მანამდე აქ ვიდგე ჯორივით? სხვა არა იყოს რა, ხეს დავეჯახები, ან გუბეში ჩავვარდები და ჩურჩხელასავით ამოვევლები... დაიცა, ქაჯიან-ხევს გაღმა ბილიკი მიუყვება. შეიძლება იქით არ არის ნისლი. აბა ერთი მოვსინჯოთ!

ხევგალმა გავიდა ტყეში და ბილიკს მიაღწია.

— ესეც შენი ბილიკი! აქ ნისლი ცოტაა და რაც არის ისიც მალე აიწევს. ეს უფრო მოკლეზე მიდის მცონი. პაი, დაბდურო! ჯერ ჩამოვიდე სოფელში და შენ მიყურე, როგორ „გაგაპატიოსნებ“. ეს სულ შენი ბრალია, მე რომ ეგრე დავყიალობ. შე ქარიყლაპიავ შენა!... დაიცა, ეს ის ბილიკი ხომ არ არის ხოდაშნის თავში რომ ჩაღის?.. გაუშვი იყოს, იქიდან აწყურზე გადავილი და პირდაპირ იყალთოში ჩავალ. დაიცა, მამი! იქნება კაცს მიგზავნიდე დღესვე: ამოდი, შვილო, ისევ სატალეშიო. მე ხომ ვიცი შენი ხასიათი... იქნება ჭიანტბაზე ჩავლა სჯობდა? არა! იქ ისეთი საშინელი გველები იცის რომ... ისევ აქეთა სჯობია, ფუი გაგიქრა პატრონი! ე, რა ნისლი და ჯანლი ჩამოწვა ამ დილას...



დილხანს მიპყვით მომარტინი და, ბილიკს უშანგი და, რამდენსაც წინ მიიწევდა, იმდენად ხევის ხმიანობა მატულობდა.

რა აღრიალებს ამ დაწყევლილს? გაგიქრა ჯიში — მართლაც ქაჯიანია ეს ხევი. გაგიქრა გამომცემელი, როგორ ქუს და ღრადლებს! აქ მგონი ჩანჩქერია. ჰე, რა სალრმე ექნება! ჩემი მტერი მოახველრა შიგ. ვინ იცის უძიროც არი, ე-ე-ე- ეს ფერდობია თუ დალოპულია? ვაიმე, დედავ! არიქა, მიშველეთ! — და ფერებში გართულმა და ნისლებით დაბნეულმა ბიჭმა ერთი დაყვირებალა მოაწრიო, ისე დაეშვა ხევში და ჩანჩქერის ხრიალში ჩაიკარგა მისი ხმა.

* * *

თედომ ნადირის სუნთქვა იგრძნო სახესთან, თვალები უფრო მაგრად დახუჭვა და სურდა ხელები სადმე დაემალნა, მაგრამ ვერ მოახერხა და ნადირის პირში მოხვდა. აი, აპა, გრძნობს კარგად, გრძნობს ბიჭი ლოყებზე ცხელ სუნთქვას და მისი ცეცხლივით ენა ხელებს უწვავს, თვალები კი არ უნდა გაახილოს.

მაგრამ თედომ თვალი გაახილა და სიხარულით წამოვარდა ფეხზე.

— ქორი, ქორი! სად იყავ, ქორი! საიდან მოხველ, ქორი!

უზარმაზარი წითელი ძაღლი სიხარულით გადაირია. ჭენებით შემოიჩინა ახლო-მახლო ჯაგები.

— ქორი, საყვარელო ქორი, — ლუღლუღებდა გონსმოსული მწყემსი და სიხარულის ცრემლით ალბობდა ძაღლის მეწამულ ბალანს. — სად იყავ, ქორი, როგორ მომაგენ ქორი? მოიცა, ეს რა გეტყობა ცხვირზე და ყური რატომ გაქვს სისხლიანი? სად იჩეუბე, ქორი?

ძაღლი ულევავდა ხელებს და დროდადრო ხაოიანი ენით უმშრალებდა ღაწვის თავებს.

უცებ რალაც ხმაში ბიჭაძლე და გააქვა.

— მუუუ!

თედო ფეხზე ადგა.

— რაო, ეს რა არის! რას ნიშნავს ეს ქორი? ძაღლიც უცებ გაშტერდა, მერე წვრილიანში



შევარდა და ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

— მუჟ! — მოისმა ისევ და როდესაც ძალლმა ხალათზე პირი წავლო და წვრილანისაკენ გასწია, მწყემსს სახე გაებაღრა და მთელი შერჩენილი ღონით გაპყვა უქან.

— მუჟ! — უფრო ახლო მოისმა, და ხუთიოდე წუთის შემდეგ უკავე აქმინებული დაეცა იელის ბუჩქებთან ბიჭი.

ბუჩქის ძირას ფერდურელი ხმო იწვა და საბრალოდ ზმუნდა.

— ეს შენა ხარ, ჯონქა? ჯონქა, ეს შენა ხარ? საიდან მოხველ აქ ჯონქა, რამ მოგიყვანა აქ!

ხბომ სიხარულით დაიზმუვლა ისევ და სცადა უკან ფეხს მისწვდომოდა ენით, სადაც სისხლი ისევ ეტყობოდა.

— ეს რა არის, ჯონქა? გაიკაშრე სადმე, თუ... დედავ, ნაკენია, ნაკენი! აბა, აიწი, აიწი-მეთქი! ოი, შე საცოდვო, ვერა დგები ფეხზე? დახედე, რა უქნიათ იმ წყეულებს! — თედომ შეხედა ქორიას ცხვირზე გრძელ და ღრმა ჭრილობას და თვალშინ წარმოუდგა იმ დაწყევლილ ღამეს მომხდარი ამბავი.

როგორც კი ბაკიდან ხბორები გამოცვიდნენ, ჯონქამ მათ გაასწრო და ნადირმაც წინ გაიგლო. ქეყანი ქორია გაცყვა მას და მგელს მისი შეკმის საშუალება არ მისცა. ალბათ იმიტომ იყო ადგილ-ადგილ კვალი გადაშლილი და რაღაცის ნაგორავები — გზადაგზა ჩხუბობდნენ ნადირი და ძალლი, ხოლო დაქცენილმა ხბომ აქმდე მოაღწია და აქ წაიქცა. პოი, როგორ არის ბალაზი გათელილი! აი, აპა, სისხლის წვეთებიც... ეტყობა აქც დიდი ბრძოლა ყოფილა. ყოჩალ, ქორი! ტყუილად კი არ გააკეთებინეს ძია იოსებას შენთვის ეს ჩანგალი. ო-ჰო-ჰო, რამსიგრძე კბილები აქეს და როგორი წვეტიანი. მგელი კი არა შენ ვეფრცე ვერაფერს დაგაკლებს! კარგი, გაჩერდი, ნუ გამიცვით ხელები ლოკვით. ჯერ ჯონქას მივხედოთ და მერე შენთვისაც მოვიცლო.

ბიჭმა დაიხადა წინდები და დაქცენილ ადგილზე შემოაკრა, ხოლო, რომ არ მოსძრობოდა, ქალამნიდან შესხილით თასმები შემოახვია ზედ.

— არაუშავს, მე წნელებითაც შევიძამ ქალამნებს. — და როდესაც მათი მოქრა განიზრახა, მაშინდა მიხვდა, რომ წალდი თან ალარა ჰქონდა.

უკანვე გაბრუნდა ბიჭი, მოძებნა და თელის ბუჩქამდე ძლიერსა მიათრია ფეხები. მეორე დღე თავდებოდა, რაც პირში ნამცეცი არ ჩაედო. მიიხედ-მოიხედა და ბედად ტყემალი დაინახა იელს უქით. მივიდა, დააფგა და დაუწყო ჭმა. იცოდა, რომ ცარიელა კუჭზე ბევრი აშენდა და ამიტომ მოეშვა, მაგრამ შიმშილმა ახლა უფრო შემოუტია და ცრემლები გაღმოაყრევინა. ჯიბე მოსინჯა გარედან და მიხვდა, რომ არ განჭირულიყო. ჩაყო ხელი და მთლად უქნებელი, ნახევრადმოყრილი ასანთის კოლოფი ამოილო.

— გადავრჩი! — წაიბურტყუნა და მეგობრებს გასცილდა.

იქვე ახლო წყებოდა დიდებული ტყე და ნა-

ხამორალ ფოთოლქვეშ ქამა სოკო და წოდებული მრავლად იარვებოდა.

მწყემსმა ხალათის კალთა სოკოთი გაიცსო და შემდეგ შეშაც მიზიდა იელთან.

დიღხანს შეექცეოდა უმარილო და თურთქელი-დან გამოღებულ, თითქმის შეუმწვარ სოკოს და, როდესაც შიმშილი საგრძნობლად მოიკლა, მაშინდა შემოირტყა თავში ხელი.

— ვამე ჯონქა! მე მუცელი ამოვიყორე და შენ მშეერი დაგროვე! — და ფეხზე წამოვარდა. — ცოტა ხანს აქ დამიცადე, ახლავე მოვალ.

ჯონქამაც დაუცადა — მეტი რა გზა ჰქონდა. და როდესაც ამოილიავებული სურნელვანი ბალახით დაბრუნდა, ხბომ სიხარულით დაიზმუვლა და ხარბად დაუწყო ჭამა. იქვე ჩაცუცული ბიჭი რქების ძირებსა ფუანდა და თან ეუბნებოდა:

— ჭამე, ჯონქავ, ჭამე, აი, მე ვჭამე და ახლა ძე მაგრად ვარ, თითქოს არასოდეს დავოლილიყო და არ მომშივნოდეს. ჭამე და მერე წავიდეთ ბინაში თაფლასთან, ნიკორასთან, წაბლასთან და სუყველასთან. იქ უკავე დალონებულები იქნებიან, რომ შენ აგრე დააგვიანე. ჭამე, კარგად ჭამე.

ხბომ როდესაც ბალახს მორჩა, თედომ მისი წამოყენება სცადა, მაგრამ ფეხებზე რომ დაეყრდნო ჯონქა, ისევ წაიქცა და ტკივილისაგან დაიზმუვლა.

— ერიპა! შენ რაღაც ვერა ხარ რიგზე, ჯონქავ! რას ვიზამთ, პატივისცემის ღირსი ხარ და ზურგით უნდა გატარო.

როგორც იყო, მწყემსმა ფეხზე წამოყენებულ ხბოს მუცელქვეშ თავი გაუყარა, ფეხებზე ხელი წავლო, აიწია, აიწია, წელში რის ვაივაგლახით გაიმართა და ქორის უთხრა.

— წავიდეთ, ტუგრი!

ტყინში ძლიერ შეაღწია წვრილიანიდან, რომ ჩაიჩნეა და ხბომ მიწაზე დაწვინა.

— აღარ შემიძლია.

ტყინში უკავე ბრელოდა. მწყემსი ახლალა მიხვდა, რომ ღმიდებოდა, და აწრიალდა.

ამაღამ ამ ტყიდან ვეღარ გავალთ. საღმე რამეს გადავაწყდებით და გადავიჩეხებით. ბინამდე ცარიელიც რომ წავიდე, მაინც ვერ მივაღწევ.

ბიჭს ტანში არასასიამოვნო ქრუანტელმა დაუარა, როდესაც დარწმუნდა. რომ ღამე ამ ჩაშვაბელებულ და უსიერ ტყეში უნდა გაეთენებინა.

— თოფი მაინც მქონდეს! ეე, ჯონქავ, ეს ვერ არი კაი საქმე. ბინის გასათევი უნდა მოვქებოთ.

თედომ მცირე ხანს ირბინა და ბოლოს ვეება წიფელს მიადგა, რომლის აქეთ-იქიდან შეინდლარშა და ძახველი აყრილიყო. ბიჭმა წალდით ჩაკაფა წინიდან შესასვლელი და პატარა მოედანს მიაღწია.

— აი, კარგი ღამის სათევი! — წიფელის ფულურში ხელი მოაფათურა და მშრალი ფოთოლების გრივა გამოყარა. — ბიჭმა! აქ შეიძლება დავეტიო? თუმცა, დაიცა! არა, აქ შემძრომი არ ვარ.

მწყემსმა მთელი ფოთოლი გარეთ გამოხვეტა

ფულუროდან და იქვე გაფინა. მურე წავიდა, ნაკაფიდან უზარმაშარი კუნძები მოაგორა და რის ვინვაგლახით შესავალში დაწყო. წითელის ტოტები ჩაკაფა და შვინდლარწასა და ძახველის ბუჩქები გადაღობა წიფლამდე გვერდებიდან. გაიქცა, მონარქენი სოკო მოიტანა და ჭანცმილეული დაწევა უკვე პატარა სიმაგრეში, სადაც თავისი მეგობრები შეიყვანა.

— ახლა ნადირი ვერსიდან ვერ მომიღება, მაგრამ სიცივე მომკლავს. არც ფეხზე მაცვია რამე ქალამნის მეტი და ტანსაცმელსაც თითქოს სინოტივე შერჩა. ცეცხლის დასანთები ადგილიც არ არია.

ბიჭი ზურგით მიეყრდნო ფულუროს და წწარედ ჩაფიქრდა. მცირე ხანს იყო ასე გარინდებული და მერე უცებ წამოხტა გახარებული.

— ჰე-ჰე-ე! ვინა თქვა თერთოს თავი არ აბიაო?!

წამოხტა, აბობლია კუნძებზე, ხელის ცეცხლით ქლივს შოძებნა შეშა და წოწები ახლო-მახლო, მივიდა, კუნძებს ქვევიდან შეუწყო და მათ ქვევით კიდევ ცოტა მშრალი ფოთოლი ამოადო. იელ-გა ასანთმა და მალე შეშასა და კუნძებს ცეცხლი შემოენთო.

— აგრე, გენაცვალე! დილამდე არც დაიწვება ეს კუნძები, ეხლა კი შეიძლება სოკოც შევწვთ.

ბიჭმა გამოლელია ნაკვერჩხლებზე მალე გულამია დაყარა სოკოები და, როცა შეიწვა, იათქმის მთელმთელს დაუწყო ყლაპვა, რაღგან კბილები ტყემალს დაეჭრა.

მაინც კიდევ ვერ მოიკლა მწყემსმა შიმშილი

და, როდესაც ხარბად მოჩერებული ძაღლის ფარავი დაინახა, უკანასკნელი ლუკმა ხელში შეაცივდა. დაიხარა და თვალზე მომდგარი ცრემლი მყეფარის შუბლზე შეიწმინდა.

— ქორი, ქორი! — დამნაშავესავით ლულულებდა ბიჭი. — მოგიკვდეს ჩემი თავი ქორი, რომ შიმშილით მოგვალი. აპა, აი შეჭამე? აი, აპა, ნახე და თუ შეჭამ გავალ და მუგუზლით მოგიძებნი სხვებსაც.

ძაღლმა სოკო დასუნა და მერე ცხვირი გვერზე მიიღო.

— ეეჟ, ქორი, კარგო ქორი, რა ვქნათ ახლა ჩვენ? — ბიჭმა უნუგეშოდ გაშალა აქეთ-იქით ხელები. — არც მე მაქვს პური. — მოეხვია და მიეხუტა. ჩანგალი ეჩხვლიტა და თავი აიღო. — ისევ დილამდე უნდა მოვითმინოთ, მეტი გზა არ არი. ხვალ კი, როცა ფერმაში ავალთ და პატარა ჯონქასაც ავიყვანთ, — ისიც ავად არი, იქ ძია მიხაკო უწამლებს, ხომ იცი ძია მიხაკო — ექიმი რომ არის. ჰოდა მორჩება. მორჩება და შენ კიდევ მთელ გეჯა სალაფას გაჭმევ, გაჭმევ, უეჭველად გაჭმევ. — ვეტყვი ძია გიგლას, რომ ჯონქა შენ გადაარჩინე და იქნება ორიც გაჭამოს.

ძაღლმა, თითქოს გაიგო მისი სიტყვებით, ენა ააწელატუნა, უფრო ახლო მიუჩინდა და თავი მუხლებზე დაადო.

კარგა ხნის შემდეგ ხბოს და ძაღლს შუა ეძინა თედოს. მხიარულად ტკაცუნობდა ცეცხლი და უკვე კუნძებზეც ღუდღუდებდა. ისმოდა ჩანჩქერის ჩხრიალი და შავ-კლდიდან მიკიოტის კივილი.

ღამე ძაღლში შედიოდა.

(დასასრული ზოგადი ნოვერა 80)





ჩავაზ ინაიმალი

ნახ. 6. შალიკაშვილისა

ბიჭი მარეაზი

ბევრი კარგი სოფელი მინახავს, ვიცი, რომ ქვეყანაზე კიდევ უფრო კარგი სოფელი იქნება, მაგრამ ჩენს სოფელზე უკეთესი მაინც არსად არ წერულება. ის არც ჰაერით არის განთქმული, არც წყლებით, არც ტყეებით. ოთხივე მხრიდან მინდვრები აკარეს და ეს მინდვრებია მისი სიმშვენიერეც, სიმდიდრეც. გაზაფხულზე მათ ქვენა ნიავი სველ-სველ ღრუბლებს დაფენს, შემდეგ ტაატით წაიღებს ჩრდილოეთისაკენ. მის ნაკალევზე დაწნებიან გაცინებული ბალახები, ალმასდაფრტვეული ჯაჯილები, გაწუწული ღილილოები. აფრინდებიან ტოროლები მაღლა, მაღლა; მოკუვებიან მზისა და დედამიშის ქეშას. მოვლენ გუგულები და ძევის წვერებზე აქანავებული გამამენ კაფე-კაფეს...

ზაფხულში, თითქო დადინჯდება ყველაფერი. ოქროსფერად ალიცლიცდება მზის შუქი თავთავებზე, ჩამოდგება ალმური, ზანტად აჭრიჭინდებიან ჭრიჭინები, გამობობრდებიან ბუნაგებიდან კომბანები და ორ კვირაში ხორბლის მთებად აქცევენ ყანებს.

შემოადგომაზე ისევ ღრუბლები ამოცურდება სამხრეთიდან, ისევ ამჭვანდება მდელოები, ისევ გამოაჭყარენ თვალებს ნაგვანევი ღილილოები და მერე ზამთარიც მოვა. მოვა ხვავიანი თოვლი — სასიამოვნოდ რომ გადაპენტავს ხოლმე დედამიწას, აგუზგუზდება ღუმელები და ზეცაში ასულ კვამლს სიმღერა აჟყვება თან: ზამთარიაო, ზამთარიაო...

ბევრი კარგი ბიჭი მინახავს, ვიცი, რომ უმცირეს ნაზე კიდევ უფრო კარგი ბიჭები იქნებიან, მაგრამ მე რომ მკითხოთ, ჩემს მეგობარ მალხაზზე უკეთესი ბიჭი არსად არ მეგულება. ისიც უბრალო ბიჭია. გამხდარი, გამხდარი. ქერა თმა ორად თავის-თავად ეყოფა. ისეთი თვალები აქვს — ყოველ-თვის აღტაცებული გონია; თითქო ეს-ეს არის საიდანოაც ჩამოტრინდა, პირველად ხედავს ამ ლამაზ ქვეყნიერებას და კარგი და კარგი შთაბეჭ-დილებებით აღსაცეს, სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებსო. ის რომ გაცემილის მოყოლას დაიწყებს — გვინია გული უნდა ამოატანოს თანაო. ყოველ სიტყვას რაღაც სიძლიერით წარმოთქვამს, ხმა-მაღლა კი არა, რაღაც თავისებური სიძლიერით; თითქო იმასაც გეუბნებოდეს — ეს ასეთი კარგია, ასეთი აუცილებელია ამისი ცოდნა და როგორ არ უნდა ვიღოდეთ.

ჩვენს სოფელს ხევი აუშნოებს. ის არც ხევია. ოდესლაც წყალს უდნინა, მერე დამშრალი. ახლა გაზაფხულზე თუ ჩამოირბენენ ნიაღვრები, გამოიტანენ დალაქები ნაპარსს და დაყრინან; დასჭირდება ნაგვის ეზოდან გატანა ვინმეს და მიადგება ისევ ხევი...

მალხაზს ეს აქვს ცუდი: მოირბეს ჩემთან, ჩამ-ჭიდებს ხელს და მიმარბეინებს. — წარმ, რა გა-ჩვენოო. გამიყვანს, ვთქვათ, ვენახების ბოლოზე და გზის პირს ამოთხრილ წყაროს მაჩვენებს.

— ეს მე ამოვთხარე, შენც იცოდე, რომ სხვამ არ დაიჩემოს. ხომ კარგია? გამოივლინ მინდვრიდან მომავალი კოლმეურნები, წყალს დალევენ, ისიამოვნებინ, იყითხავენ — ვინ გაკეთა იმ ხელმაღლიანმაო, და დაერქმევა მაღხაზის წყარო.

ერთი სიტყვით, არაფრის გაკეთება არ სურს, თუ კი სახელს არ შესძენს.

ხევში ნაგვის დამყრელებს არა ერთხელ ვეჩებები.

მალხაზსაც ვეუბნები, არ ვარგა ასე, ყველა-ფრისათვის რომ შენი სახელის დარქმევა გინდა-ბეთქი.

ხევში ნაგვას ისევ ყრიან.

მალხაზი თავისას არ იშლის.

* * *

ამასწინათ არაჩვეულებრივად გახარებულმა მოირბინა. ჩამჭიდა ხელი და წამიყვანა. შივდევ, ხმისამოულებლად ჩავედით ხევში, გონია ახლად-დაყრილ ნაგას მაჩვენებს და საჩეუბრად ამღრღლავს. მაგრამ არა, ხევის პირზე აკაციები ჩაურგავს. განა-ერთი და ორი? ოცამდე.

— ხომ კარგია? — აღტაცებით შემომყურებს თვალებში. — აკაცია ისეთი ხეა, უკევლად იხარებს. სულ რამდენიმე წელიწადში დაიზრდებიან კიდეც, გაშლიან ტოტებს, გაიჩენენ ჩრდილებს. შეეფარებიან სიცხით შეწუხებული გამვლელები, იკითხავენ ვინ დარგა ასე კოხტად, მწკრივში; ეტყვიან ჩემს სახელს და დაერქმევა მალხაზის აკაციები.

ხომ არ არის ცუდი? როგორ უნდა ვუთხრა ცუდია-მეთქი! მაინც რაღაც მწყვეტს გულს.

სულ რამდენიმე საათში ოთხი ბიჭი მაინც ჩაა-
ტარა ჩემსაცით, აჩვენა ის აკაციები, აუხსნა მათი
მნიშვნელობა და დაანამუსა: იმათაც სცოდნლათ
და არ გადაეთქვათ, რომ იმისი დარგულია და არა
სხვისა.

გაიარა ერთმა დღემ, მეორემ და... მესამე დი-
ლის დაღვრემილი მოდის. რა იყო-მეთქი, ვეკით-
ხები.

ის მიწყებს მტკიცებას: რომ ქვეყანაზე ბოროტი
ადამიანებიც არიან, რომ მათ, ამ ბოროტ ადა-
მიანებს, სხვისი სახელი ყოველთვის შურთ; და-
უნგრიეს წყარო, წყალში ჩააგდეს ხილი, რომელიც
მან გადო არხზე, მოუკლეს თეთრი მტრედი, და
ახლა ის აკაციებიც დაუგლიჯეს, ხევში რომ დარ-
გო ამ რამდენიმე დღის წინ.

ხომ არ არის კარგი ამბავი? როგორ უნდა ვუთ-
ხრა, კარგად უქნიათ-მეთქი? მაინც, გამოვტყდე-
ბი, რაღაც მესიამოვნა გუნებაში.

მოვკიდე ხელი, წავიყვანე დუდანთ თონეზე,
სადაც მთელი უბნის ბიჭები იყრიან ხოლმე თავს,
და გამოვაცხადე:

— ხვალ მე და მალხაზი ხევის პირზე აკაციებს
ვრგავთ. ვინ წამოვა ჩევნთან ერთად?


თქვენ გვინიათ მეტის თქმა უნდათ?

— მე, მე, მე... — გაისმა ყოველი მხრიდან.

— მაშინ დილაზე დაგიძახებთ და ბარები წა-
მოილეთ!

დილით მთელი უბნის ბიჭები წავედით. და-
გვინახეს სხვა უბნებმაც და, თხა თხაზე ნაქლები
მგელმა შექამოს, თქვენზე მეტს ჩვენ დავრგავთო,
გამოიფინენ ბარებით. ოცი კი არა, ორასამდე ძი-
რი ჩავრგეთ. წყალიც დავუსხით, კიდევაც დავუს-
ხამთ. აკაცია ისეთი ხეა; უეჭველად იხარებს.
დაგლეჯით, ვინ დაგლეჯს — მთელმა სოფლის
ბიჭებმა დავრგეთ. უკვე კოკრებიც გამოიტანა;
სულ მალე ეს კოკრები ყლორტებად იქცევა, შემ-
დეგ ბძლავრ ტოტებად აიშლება ცაში. გამოივლიან
უცხო მგზავრები, დაისვენებენ იმათ ჩრდილში.
დაათვალიერებენ აქაურობას, გააოცებთ ეს მშვე-
ნიერი ხეივანი და ისინიც იტყვიან: ბევრი კარგი
სოფელი გვინახავს, ვიცით, რომ ქვეყანაზე კიდევ
უფრო კარგი სოფელები იქნება, მაგრამ ამ სოფელ-
ზე უკეთესი სოფელი მაინც არსად არ გვეგულე-
ბათ.

გაცრნობენ მალხაზს, მოისმენენ მის საუბარს,



დილით მთელი უბნის ბიჭები წავედით.

მოისმენენ რას ლაპარაკობენ სხვები მასზე და,
მარტო მე კი არა; ისინიც იტყვიან: ბევრი კარგი
ბიჭი გვინახავს, ვიცით, რომ ქვეყანაზე კიდევ უფ-
რო კარგი ბიჭები იქნებიან, მაგრამ ამ მალხაზზე
უკეთესი ჩიჭი მაინც არსად არ გვეგულებათ.

ა. ბარბო

6 0 ჟ ა რ ა

ერთი ნიშანა
კოლოფში მიღევს.
ის ამშვენებდა
ზინთ ზღვის კიდეს.
იგი ბაბუამ
ჩამომიტან
კავკასიიდან;

გრიალებს ტალლა,
როცა ნიშანას
ყურთან მიიტან.
უნ ზღვის ხმას ვისმენ,
რა ძვირავასია!
თითოსოსდა იყოს
ამ კავკასიის!

თარგმნა დ. ცაგარელია

ჩაზმის საბჭო



რაზმის მომდევნო შეკრებისათვის დავალებები ისე გავანაწილოთ, რომ ყველა რგოლი და ყველა პიონერი აქტიურად ჩაებას მზადებაში, — ასე გადაწყვიტა რაზმის აქტიკება.



— რა საინტერესო განეთია, — ამბობენ პიონერები და ყურადღებით კითხულობენ რაზმის ახალი კედლის განეთის „ნორჩი ლენინელის“ ყოველ წერილს.

სექტემბრის ერთ მზან დღეს რაზმის თბილისის ჭობარენის ხეივან-ში შეიკრიბა. პირს დიმილი დასთა-მაშებდათ არადადგებიდან ახლად-დაბრუნებულ ბავშვებს. სახის კანი გამსუქებოდათ, თმები გასუნებოდათ ზაფხულის მზისაგან. მათ ამ შეკრებაზე უნდა მოესმინათ რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში, გაერჩიათ შარშანდელი საქმიანობის კარგი და ცუდი მხარეები, აერჩიათ ახალი საბჭო და თავანით სურაილები გამოითქვათ მომავლისათვის.

შარშან, ამ რაზმის მაცშვებმა, პირველად დამშვენეს მკერდი პიონერული ყელსახვევით. ისინი უკოლაჟე პატარები იყვნენ რაზმულში, მაგრამ საქმეში როდი რჩებოდნენ უკან. ჯერ იყო და ისე იყოჩაღეს, ისე ერთსულოვნად იბრძოლეს სერთ საქმიანობის, რომ არცერთი თავისი წერილი არ დაუტოლებიათ იმავე კლასში. თუ ვინმე გაპვეტოლებს გაცდენდა, მაშინვე სახლში ეწვეოდნენ, რომ გაეგოთ მიზეზი, და ვინ მას, ვისაც ცულლოტობას შეაჩინებდნენ.

რაზმი მხარში ედგა მასწავლებელს და სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველა სასახლოდ გადავიდა შემდეგ კლასში.

პიონერთა რიგებში რომ შედიოდნენ სელმდენერლა იქვა: ყოველთვის უნდა გახსოვთდნ, პიონერის უბირველესი მოვალეობა კარგად სწავლა არისონ. ამას არასოდეს არ ივაწყებენ მეექვსერაზმელები. რაზმის საბჭოს თავმჯდომარებრ, მაყვალა ალექსიშვილმაც სწორედ ამიტომ მოიგონა პირველად შარშანდელი სწავლის ამბები.

მაგრამ მარტო ამას როდი იგონებენ სიამოვნებით. როგორ დაავიწყდებათ პირველი შეკრება, რომელიც გმირ პიონერს პავლი მოროზოვს მოუძღვნეს.

ამ პირიოდში დღენიადაგ პავლი მოროზოვშე იყო ლაპარაკი რაზმში. ძლიან, ძალიან სინტერესოდ ჩატარდა მათი რაზმის პირველი შეკრება. პირველს მეორე მოცყვა. „ორი სამყარო—ორი ბავშვობა“ — ასეთი იყო მეორე შეკრების თემა. ამისათვის უფრო დიდებანს ემზადებოდნენ და ესეც მეტად საინტერესოდ ჩატარეს. და ასე თანდათან მათს რაზმში გაშალა პიონერული მუშაობა. ძალიან უყვარდათ კოლექტურად წასლა კინოთეატრებში, ექსკურსიაზე, ახალი სიმღერების შესწავლა, სპორტული შეჯიბრებები...

